სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 220

2022 წლის 9 დეკემბერი

ქ. თბილისი

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

"მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 6 ივლისის N82/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, "მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ, კონკურსის წესების და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ"" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 3 ნოემბრის N201 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის წესების და პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 9 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1582289) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 9 დეკემბრის N220 ბრძანებით

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა
1	STEM-22-2011	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი. ლ. ე. მონაწილეობს ორ პროექტში: STEM-22-416 და STEM -22-2011
2	STEM-22-416	თ. გელაძის სახელობის საქართველოს ეპილეფსიასთან ბრძოლის ლიგა	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი. ლ. ე. მონაწილეობს ორ პროექტში: STEM -22-416 და STEM -22-2011
3	STEM-22-1916	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	1. ძირითადი პერსონალის გ.კ-ს, ბ.კ-ს, ი.ჩ-ს, ი.მ-ს და ი.ქ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი); 2. ძირითადი პერსონალის ვ.დ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
4	STEM-22-476	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1. პროექტის ხელმძღვანელის ა.კ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი); 2. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი; 3. ძირითადი პერსონალის ი.ჯ-ს და მ.ვ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
5	STEM-22-273	საქართველოს უნივერსიტეტი	ძირითადი პერსონალის ს. ს-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
6	STEM-22-1462	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემია	1. პროექტის ხელმძღვანელის ლ.გ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტები); 2. ძირითადი პერსონალის თ. მ-ს მიმართ დადგენილი ხარვეზის (კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.